



საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერთიფიცირება

2008 წლის 8 მარტს, ცენტრალურ საარჩევნო კომისია იწყებს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერთიფიცირების ტესტურ გამოცდებს. გამოცდები ჩატარდება საქართველოს პარლამენტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობებში. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ 13 აკრედიტირებული დამკვირვებლის მეშვეობით, რვა დღის განმავლობაში (8,9,10,12,13,15,16,17 მარტი, 2008) დააკვირდება სერთიფიცირების სრულ პროცესს. ორგანიზაცია მონიტორინგს განახორციელებს ტესტირების მიმდინარეობაზე, საჩივრების განხილვაზე, ნამუშევრების შეფასებაზე, პრეტენზიების არსებობის შემთხვევაში საპრეტენზიო კომისიის მუშაობაზე და სერთიფიცირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა პროცედურაზე.

სერთიფიცირების დასრულებისთანავე „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ საზოგადოებას გააცნობს მონიტორინგის შედეგებს.

სერთიფიცირების პარტნიორები არიან:

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება - ISFED

ახალი თაობა ახალი ინიციატივა - nGni

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია - GYLA